გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
დირექტორის ასარჩევად კონკურსის გამოცხდების შესახებ

1. თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს თსუ აკადემიური საბჭო. არჩევის პროცედურა ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

2. თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს **თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის** დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია: თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით“ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ამავე დადგენილების მე-3 დანართის - ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-14 მუხლით (უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები); ასევე: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 2022 წლის 29 სექტემბრის №24533/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 ოქტომბრის №13 სხდომის ოქმისა და ამავე სხდომზე მიღებული დადგენილება N: 85/2022 -ის საფუძველზე („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე *გამონაკლისის სახით არ დაწესდეს ასაკობრივი შეზღუდვა*“).

3. კონკურსი ცხადდება თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს - მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყენებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში (ვაკანსიის პროფილის მიხედვით).

ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით (ვაკანსიის პროფილის მიხედვით).

5. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს **თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისთვის** დადგენილ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ა) უვადო/ვადიანი (10 წელი) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი,

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც),

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის, არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით,

ე) კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის), კერძოდ, საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტებში მუშაობის გამოცდილება.

შენიშვნა: *კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსანტთა შორის თანაბარი მონაცემების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სამსახურებრივი შეთავსების არმქონე კონკურსანტს.*

N	**სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა**
1	* მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.
	* იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ.
	* სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ.
2	* სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.
	* სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით.
	* ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*.
3	* რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის.
	* სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
	* ქართველოლოგიურ და სამართლის მეცნიერების დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.
	* სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
4	* საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ.
	* საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ.

6. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) **განცხადება** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს კანდიდატის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი;

ბ) **ავტობიოგრაფია** (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად [***შენიშვნა:*** *მიუთითეთ თქვენი ძირითადი სამუშაო ადგილი*].

(ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);
გ) **პირადობის** დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტი, პირადობის მოწმობა) სურათიანი გვერდის ასლი;
დ) შესაბამისი **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის** (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;
ე) **სამსახურეობრივი გამოცდილების** ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);
ვ) **სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის** გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ზ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული **ხედვა** (კონცეფცია).

7. კონკურსი გამოცხადდეს - **2022 წლის 14 ოქტომბერს.**

- განაცხადების მიღება - **25 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით (10 საათიდან 17 საათამდე).**
- არჩევნების შედეგები თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს **არაუგვიანეს 2022 წლის 21 ნოემბრისა.**
- ინფორმაცია საჯაროდ განთავსებას ექვემდებარება თსუ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - თსუ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

*** * ***

მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. **8**, **III** სართული, ოთახი **306.** ტელ.: 599 400 728